



იანვარი 2024

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფის სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელება ონის მუნიციპალიტეტში

– სოფელი ლები, ონის მუნიციპალიტეტი, საქართველო

რეზიუმე

2022 წლის 28 აპრილს, საქართველოს ონის მუნიციპალიტეტი შეუერთდა მერების შეთანხმების ინიციატივას კლიმატისა და ენერჯეტიკისთვის, რომლითაც აიღო ვალდებულება 2030 წლისთვის მინიმუმ 30%-ით შეამციროს სათბურის გაზების ემისიები. შემდგომ შემუშავდა მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ) ონის მუნიციპალიტეტისთვის და დაიწყო მისი განხორციელება.

ონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტის მიზანი იყო კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული კატასტროფების მიმართ მუნიციპალიტეტის მდგრადობის გაძლიერება ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელებით და მოწყვლადი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2021-2022 წლებში განხორციელებული ძირითადი ინიციატივები მოიცავდა სოფელ ლებში დაზიანებული გზის აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე მდინარე რიონის კალაპოტის ფორმირებას და სანაპიროს მოწყობას. ეს მცდელობები იყო პირდაპირი პასუხი 2021 წლის მაისში სოფელ ლებში მომხდარ სტიქიურ უბედურებაზე.

კონტექსტი

მერების შეთანხმების ინიციატივისა და მუნიციპალიტეტის საერთო ხედვის მთავარი მიზანია მის ტერიტორიაზე ენერგოეფექტური ღონისძიებების დანერგვა, ენერჯის რაციონალური მოხმარების ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე. პარალელურად, ის მიზნად ისახავს გაძლიეროს მუნიციპალიტეტის მდგრადობა კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების მიმართ ადაპტაციის მიზანმიმართული ღონისძიებების მეშვეობით, ამავდროულად გაზარდოს მდგრად და უსაფრთხო ენერჯიაზე ხელმისაწვდომობა, ენერჯეტიკული სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ონის მუნიციპალიტეტი, რომელიც ხასიათდება მაღალმთიანი რელიეფით, მოიცავს რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის სოფელ ლებს, სადაც აღნიშნული პროექტი განხორციელდა. 2021 წლის მაისში ძლიერმა ნალექმა გამოიწვია კატასტროფა სოფელ ლებში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საცხოვრებელ ნაკვეთებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებებს და ნაწილობრივ დაზიანდა მეზობელ სოფლებთან დამაკავშირებელი საგზაო ქსელი, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

საგანგებო სიტუაციის საპასუხოდ, მუნიციპალიტეტმა სწრაფად მოახდინა რესურსების მობილიზება და ადაპტაციის ღონისძიებების ინიცირება მომავალი კლიმატური მოვლენების ზემოქმედების შესამცირებლად. ეს ღონისძიებები მოიცავდა სოფელ ლებში დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციას და მდინარის კალაპოტის გასწვრივ დამცავი ღონისძიებების გატარებას ეროზიისა და წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, დაიწყო თემის ჩართულობისა და შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები, რათა მოსახლეობაში ამაღლდეს ცნობიერება კატასტროფებისთვის მზადყოფნისა და მდგრადი ენერგომომხმარების მეთოდების შესახებ. ამ ღონისძიებების განხორციელება მიზნად ისახავდა ანა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას, არამედ კლიმატის ცვლილების ზემოქმედების წინააღმდეგ გრძელვადიანი მედეგობის ხელშეწყობას. მდგრადი ენერჯეტიკული გადაწყვეტილებების ინტეგრირებით და ადაპტაციური შესაძლებლობების გაზრდით, ონის მუნიციპალიტეტი აგრძელებს წინსვლას სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად და მდგრადი განვითარების პრაქტიკის ხელშეწყობისკენ მის თემებში.



აქტივობის აღწერა

01

2021 წლის 18 მაისს, სტიქიური კატასტროფის საპასუხოდ, მუნიციპალიტეტმა მერის #791 დირექტივით ოპერატიულად შექმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფმა შეაფასა მიყენებული ზიანი და ჩამოაყალიბა შემდგომი სამოქმედო გეგმები.

02

ზარალის ოდენობის შესახებ ამომწურავი დოკუმენტაცია წარედგინა საქართველოს მთავრობას, რის შედეგადაც დამტკიცდა გრანტი ჯამური 2,500,000 ლარის (დაახლოებით 893,000 ევრო) ოდენობით.

03

გამყოფილი თანხების მიღებისთანავე მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ღია ტენდერი და შემდგომ შერჩეულ პრეტენდენტს გაუფორმა ხელშეკრულება.

04


დადებული ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მდინარე რიონის კალაპოტის 500 მეტრზე კრიტიკული მონაკვეთების გაწმენდა და ფორმირება;
- რკინბეტონის კედლის მშენებლობა სანაპიროს 1300 მეტრზე;
- გზის 1500 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ფოკუსირება

ძლიერი ნალექისგან დაცვის ზომები მოიცავს როგორც სტრუქტურულ, ისე არასტრუქტურულ მიდგომებს. სტრუქტურული ღონისძიებები მოიცავს შენობების მშენებლობას ან განახლებას ისეთი ფუნქციებით, როგორცაა დახრილი სახურავები, წყალსადინარი ღარები და სათანადო სადრენაჟო სისტემები მოწყვლადი ზონებიდან წვიმის წყლის ეფექტურად გასატარებლად. წყალდიდობის საწინააღმდეგო ბარიერების, დამბების და საყრდენი კედლების აშენებამ ასევე შეიძლება შეამციროს დატბორვის რისკები. არასტრუქტურული ღონისძიებები ფოკუსირებულია მიწათსარგებლობის დაგეგმვაზე, ზონირების რეგულაციებზე და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პრაქტიკაზე, როგორცაა ბუნებრივი სადრენაჟო სისტემების (მაგალითად ჭაობიანი მიწები და ტყეები) შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს ჭარბი ნალექის შეწოვას და ჩამონადენის შემცირებას. ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვას და მოსახლეობის სწავლებას საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის საკითხებზე ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძლიერი წვიმების შედეგების მინიმინიზაციისთვის. ორივე ტიპის ღონისძიებების გაერთიანება უზრუნველყოფს კომპლექსურ დაცვას ძლიერ ნალექთან დაკავშირებული საფრთხისგან.

სოფელი ლები, ონის მუნიციპალიტეტი, საქართველო



მოსახლეობა:

5 832

ფართობი:

1359,4 კმ²

მერების შეთანხმების ხელმოწერის თარიღი:

28.04.2021

CO₂ ემისიების შემცირების მიზანი:

30% (2030)

სამიზნე სექტორი, კლიმატური საფრთხე(ები) და მოსახლეობის სამიზნე მოწყვლადი ჯგუფი

სამიზნე სექტორები, რომლებსაც პროექტი ეხება, არის: მიწათსარგებლობის დაგეგმვა, წყალი, ნარჩენები, გარემო და ბიომრავალფეროვნება, ასევე სამოქალაქო დაცვა და საგანგებო სიტუაციები.

პროექტის ფარგლებში კლიმატური საფრთხეებია: უხვი ნალექები, წყალდიდობები, ნიაღვრები.

მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებზეც პროექტი იქნება მიმართული, არიან: მოზრდილები, ქალები და ბავშვები, მოსახლეობა მუდმივი სამუშაოს გარეშე და დაბალანაზღაურებადი მოსახლეობა და სხვა სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან ბუნებრივი კატასტროფებით.

შედეგები და რჩევა რეპლიკაციისთვის

აღნიშნული პროექტით სარგებელი მიიღო 2916 ბენეფიციარმა, მათ შორის სოფელ ლების მოსახლეობამ, ასევე მდინარე რიონის სიანლოვეს მცხოვრებლებმა, რადგან სანაპიროს მოწყობამ მდინარე კალაპოტში მოაქცია. უსაფრთხოების გაზრდის გარდა, ამ პროექტის განხორციელებამ ასევე შეამცირა მუნიციპალიტეტის წლიური ხარჯები 500,000 ლარით.

პროექტმა მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს

"რეაგირების ჯგუფების სწრაფი ფორმირება". სტიქიის შემდეგ დროებითი სამუშაო ჯგუფის სწრაფად შექმნით, მუნიციპალიტეტმა ეფექტურად შეაფასა ზარალი და ჩამოაყალიბა სამოქმედო გეგმები, რითაც აჩვენა სტიქიური კატასტროფებისთვის პროაქტიული მზადყოფნა.




"გრანტის წარმატებული მოპოვება". მუნიციპალიტეტმა მოიპოვა მნიშვნელოვანი გრანტი საქართველოს მთავრობისგან ზარალის დეტალური დოკუმენტაციისა და კარგად მომზადებული წინადადების წარდგენით.



„ინფრასტრუქტურის კომპლექსური გაუმჯობესება“. კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებამ, როგორცაა მდინარის კალაპოტის გაწმენდა, სანაპიროების მშენებლობა და გზის რეაბილიტაცია, არა მხოლოდ აღმოფხვრა უშუალო დაზიანება, არამედ ასევე გაზარდა მუნიციპალიტეტის მედეგობა კლიმატთან დაკავშირებული მომავალი კატასტროფების მიმართ.






 **სასარგებლო ბმულები**




<https://oni.gov.ge>

პროექტის დაფინანსება

დაფინანსების სამთავრობო 2,500,000 ლარი 893,000 ევრო	წყარო(ები): დაფინანსება (დაახლოებით 893,000 ევრო)
ჯამური თანხა: 2,500,000 ლარი 893,000 ევრო	(დაახლოებით 893,000 ევრო)

ძირითადი მონაცემები



-  ფულადი დანაზოგი – **500,000 ლარი**
(**180,000 ევრო**) წელიწადში
-  პროექტის განმავლობაში შექმნილი
სამუშაო ადგილები - **25**
-  **2916** ბენეფიციარი

საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით:

ონის მუნიციპალიტეტის მერია
ონი,
დავით აღმაშენებლის ქ. 40, ქართული
საფოსტო კოდი 3600;

საკონტაქტო პირი:
სერგო ხიდეშელი
ელ-ფოსტა:
khideshelisergi@gmail.com